ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 100

“ 19 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის №25.1757.1980 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების და „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის №495 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის №25.1757.1980 განკარგულების დანართ 1-ში და აღნიშნულ დანართში №01.10.13.015.114.01.01.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საკუთრებაში მიმღებ პირად „გელა ბიტარიშვილის (პირადი ნომერი: 01024053484)“ ნაცვლად განისაზღვროს „ილია ბიტარიშვილი (პირადი ნომერი: 01008049254).

2. შევიდეს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის № 495 განკარგულებაში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე